სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

MES 6 17 00780112

04/07/2017

შპს „პერფექტს" დირექტორს
ქალბატონ მარიამ კახელაშვილს

ქალბატონო მარიამ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს შორის 2017 წლის 22 ივნისს გაფორმდა N2017/147 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თქვენ გქონდათ ვალდებულება მოგეწოდებინათ სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ღონისძიების (სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსების დღე) ფარგლებში მოწვეული სტუმრებისთვის სასაჩუქრედ დამზადებული ბრენდირებული ფანქრები გრავირებით - 400 ცალი - (CPV კოდი: 79823000) – 400,00 ლარი და ბრენდირებული ბურთულიანი კალმისტარი მეტალის კორპუსით მეორე მხრიდან სენსორულ ეკრანზე სამუშაო რეზინის თავით - 400 ცალი - (CPV კოდი: 79823000) – 1000,00 ლარი, რომლის ღირებულება შეადგენს **1400,00 ლარს.**

მომსახურება გაწეული უნდა ყოფილიყო **2017 წლის 27 ივნისს.**

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დაირღვა მომსახურების ვადა, რომელიც განხორციელდა 3 (სამი) დღის დაგვიანებით (30 ივნისს), რის გამოც ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2. პუნქტის „ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დაეკისროთ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით'' თანახმად, დაგეკისრათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების **1400,00 (ერთი ათას ოთხასი ლარი 00 თეთრი) ლარის** ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, რაც შეადგენს **0.84 (ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარს.**

გთხოვთ, ზემოაღნიშნული საჯარიმო თანხა 30 დღის განმავლობაში ჩარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე - საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 302003287 და მოგვაწოდოთ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პატივისცემით,

ზაალ აბაშიძე

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3

ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
დირექტორი